საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

თბილისი 0114, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

საქართველოს პარლამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

8 Rustaveli Avenue, 0114,Tbilisi,Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრების დავით მათიკაშვილის, იოსებ ჯორბენაძის, აკაკი ალადაშვილის, ირაკლი შატაკიშვილისა და გიორგი კახიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა პირველი მოსმენისათვის განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების დავით მათიკაშვილის, იოსებ ჯორბენაძის, აკაკი ალადაშვილის, ირაკლი შატაკიშვილისა და გიორგი კახიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/65; 28.05.2025) და მათ მიმართ გააჩნია შემდეგი შენიშვნები:

I. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიმართ:

1. კანონპროექტით წარმოდგენილი პირველი მუხლის მე-3 პუნქტით შემოთავაზებული კანონის 84[4] მუხლის თანახმად: „პირი მრჩევლად მიიღება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მრჩევლის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად“. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ ნორმაში გაურკვეველია „ხელშეკრულების“ სამართლებრივი ბუნება; გარდა ამისა, ვფიქრობთ, ბუნდოვანია, რა ნორმატიული შინაარსი აქვს ჩანაწერს: „სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად“.

2. კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის მოქმედი რედაქციის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ამოღებას, რაც ქმნის მოცემულობას, როდესაც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მრჩევლის სამართლებრივი სტატუსი და შესაბამისად საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურის პოზიცია აღარ იარსებებს. მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: სამართლებრივი უსაფრთხოება მოითხოვს, რომ სამართალი იყოს პროგნოზირებადი. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ შემთხვევებს, როდესაც ხდება ჩარევა პირის სამართლებრივ მდგომარეობაში, მით უმეტეს, თუ

კანონმდებლის მხრიდან არსებობდა ნათელი დაპირება განსაზღვრული პირობების შესახებ. კერძო და საჯარო ინტერესს შორის გონივრული ბალანსისთვის, საკითხის განხილვისას, მხედველობაშია მისაღები ერთი მხრივ, იმ პირთა მხრიდან, ვისაც შეეხება კანონის მოქმედება, არსებულ სამართლებრივი მდგომარეობის მიმართ ნდობის საკითხი (ნდობის დაცვა), ხოლო მეორე მხრივ, შესაბამისი კანონის მიღების მნიშვნელობა (კანონიერების პრინციპი). ამ საკითხზე მსჯელობისას ნიშანდობლივია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილება (II-42) საქმეზე „სპს „გრიშა ამორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს შემდეგს: „ინდივიდებს უნდა შეეძლოთ პირადი, პროფესიული და ეკონომიკური საქმიანობის მყარ სამართლებრივ ფარგლებში წარმართვა. არსებითად განუსაზღვრელი და გაუთვლელი, არასანდო სამართლებრივი განვითარება აჩენს გაურკვევლობის განცდას, რაც აფერხებს ადამიანის პიროვნულ განვითარებას. სამართლებრივი უსაფრთხოება ინდივიდის პიროვნული თავისუფლების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.“.

3. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ნორმატიული აქტი შეიძლება შეიცავდეს გარდამავალ დებულებებს, თუ ამ ნორმატიული აქტის სრულად ასამოქმედებლად გარკვეული პირობებია საჭირო; გარდა ამისა, ამავე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად ნორმატიულ აქტში განისაზღვრება „ნორმატიული აქტები, რომელთა მიღება (გამოცემა) საჭიროა ამ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით, მათი მიღების (გამოცემის) ვადა და მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება“. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მისაღები (გამოსაცემი) ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) ვადებისა და მიმღების (გამომცემის) განსაზღვრისა და ნორმატიული აქტის სრულად ასამოქმედებლად საჭირო პირობების შესახებ შესაბამისი ნორმების კანონპროექტში ასახვა.

4. წარმოდგენილი კანონპროექტი დასახვეწია სამართლებრივი ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით.

II. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიმართ იურიდიულ დეპარტამენტს სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია. ამასთანავე, იგი აღნიშნავს, რომ კანონპროექტი დასახვეწია სამართლებრივი ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით.

პლექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი

შემსრულებელი: მუხრან მდივანი (მთავარი სპეციალისტი)